11533/3-13/21 2 19112021

11533/3-13/21
19-11-2021

საქართველოს გენერალურ პროკურორს,

ბატონ ირაკლი შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

მიმდინარე წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტის წევრებმა, ანა ბუჩუკურმა და მიხეილ დაუშვილმა, მივმართეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მოვითხოვეთ გამოძიების დაწყება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - ირაკლი კობახიძის საჯარო განცხადებებთან დაკავშირებით, როდესაც მან მტკიცებით ფორმაში განაცხადა გიორგი გახარიას მიერ „კოკაინის“ მოხმარების შესახებ, რასაც ასევე მისი მხრიდან მოჰყვა განცხადებები კონკრეტული პირის (რომლის ვინაობასაც არ ასახელებდა) მიერ გიორგი გახარიაზე „კოკაინის“ გასაღების შესახებ.

როგორც იცით, ნარკოტიკების მოხმარება არის დანაშაული. სისხლის სამართლის დანაშაულია ასევე ნარკოტიკების შეძენა და გასაღება.

შესაბამისად, ჩვენ მიერ პროკურატურაში წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი იყო:

- გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებულ დანაშაულის შემცველ ინფორმაციაზე;
- ირაკლი კობახიძის გამოკითხვა;
- დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარება და დანაშაულის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ცრუ დასმენაზე ირაკლი კობახიძის პასუხისმგებლობლობის საკითხის დაყენება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

ა) დაიწყო თუ არა გამოძიება ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებულ დანაშაულის შემცველ ინფორმაციაზე? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მოგვაწოდეთ ახსნა-განმარტება, რატომ?

ბ) გამოიკთხა თუ არა ირაკლი კობახიძე? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მოგვაწოდეთ ახსნა-განმარტება, რატომ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ბუჩუკური